ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 24 იანვრის სხდომის

ოქმი #1

2022 წლის 24 იანვარს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 36 წევრი, სხდომას ესწრებოდა 25 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ.ტრაპაიძე და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ.ჭელიძე და პროფესორი ბ.ჭანკვეტაძე.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი;
2. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ბ.თუთბერიძემ, ი.ჩიკვაიძემ, ო.ფურთუხიამ, გ.ღვედაშვილმა, დ.ძიძიგურმა და საბჭოს სხვა წევრებმა. მათ დააზუსტეს მისაღები სტუდენტების რაოდენობა შესაბამისი მიმართულებების სამაგისტრო პროგრამებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ (იხ. დანართები 1).

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2022 წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი (იხ. დანართი 1).

2. დღის წესრიგის მეორე, მიმდინარე საკითხები. მიმდინარე საკითხებში განხილული იყო:

ა) ცვლილება სამაგისტრო პროგრამაში "გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია" (თ.ჭელიძე);

ბ) გეორაფიის დეპარტამენტის ერთ-ერთი კათედრისთვის სახელის აღდგენა (რ.ხომერიკი);

3) ფაკულტეტის საბჭოს რექტორისადმი მიმართვის ტექსტის განხილვა.

2.ა) მოისმინეს: პროფესორ თ.ჭელიძის ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამის "გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია" დაშვების წინაპირობებიდან „გამოცდა ინგლისურ ენაში B1 დონეზე“ ამოღების შესახებ, წინაპირობების ოპტიმიზაციის მიზნით.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა დ. ძიძგურმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სამაგისტრო პროგრამაში "გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია" შემოთავაზებული ცვლილების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: ცვლილება დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: სამაგისტრო პროგრამის "გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია" დაშვების წინაპირობებიდან ამოღებულ იქნას „გამოცდა ინგლისურ ენაში B1 დონეზე“.

2.ბ) მოისმინეს: ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, ბ-ნი რამაზ ხომერიკის ინფორმაცია გეორაფიის დეპარტამენტის კათედრისთვის სახელის აღდგენის შესახებ. მან საბჭოს წევრებს გააცნო გეოგრაფიის დეპარტამენტის თავმჯდომარის, პროფესორ დ.კერესელიძის წერილი (იხ. დანართები 2), სადაც გამოხატულია დეპარტამენტის სურვილი დეპარტამენტის ერთ-ერთი კათედრისათვის სახელის გადარქმევისა და ძველი სახელის დაბრუნების თაობაზე. კერძოდ, კათედრას ნაცვლად „რეგიონული გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარებისა“ ეწოდოს „საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების“ კათედრა.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა დ.კერესელიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: გეოგრაფიის დეპარტამენტის ერთ-ერთ კათედრას შეეცვალოს სახელი და ნაცვლად „რეგიონული გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარებისა“ ეწოდოს „საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების“ კათედრა.

2.გ) მოისმინეს: ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ფაკულტეტის საბჭოს რექტორისადმი მიმართვის ტექსტი, რომელიც მოამზადა ქიმიის დეპარტამენტის პროფესორმა ბეჟან ჭანკვეტაძემ. მიმართვა ეხებოდა უნივერსიტეტის მეორე კორპუსში მიმდინარე სარემონტო/სამშენებლო სამუშაოების აქტუალურ მდგომარეობას და ტემპს, რაც უკიდურესად შემაშფოთებელია და საფრთხეს უქმნის მეორე კორპუსში განთავსებული დეპარტამენტების ნორმალურად ფუნქციონირებას.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე, დააზუსტეს მიმართვის ტექსტი იმის გათვალისწინებით, რომ ფაკულტეტი აპირებს მიმდინარე წლის 7

მარტიდან სასწავლო პროცესების მნიშვნელოვანი სავალდებულო კომპონენტების ლაბორატორიებსა და აუდიტორიებში ჩატარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მიმართვის ტექსტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს რექტორისადმი მიმართვის ტექსტი (იხ. დანართი 3).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი